ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი კონცეფციისა და დიზაინის შემუშავება

გაეროს განვითარების პროგრამა
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს
ინოვაციური სერვისების ლაბორატორია

20-21 მარტს ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ანგარიში

შესავალი

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა და მას შემდეგ სერიოზული სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბიბლიოთეკას გამოუყო თანხა, რომელიც მომავალი წლის განმავლობაში მოხმარდება შენობის გარე ფასადის განახლებასა და ინტერიერის კეთილმოწყობას. ამას გარდა, სამეცნიერო ბიბლიოთეკა მუშაობს სერვისების გადახალისებაზეც, რომ მიმზიდველი გახადოს მომხმარებელთა განსხვავებული ჯგუფებისთვის. სოციალური ინოვაციების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფარგლებში დაწყებული დისკუსია გადაიზარდა თანამშრომლობაში, რომელმაც გააერთიანა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, გაეროს განვითარების პროგრამა და სერვისების განვითარების სააგენტოს ინოვაციური სერვისების ლაბორატორია. რამდენიმე სამუშაო შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ფართო საზოგადოების ჩართვა და მომხმარებლის მოსაზრების მოსმენა საინტერესო იქნებოდა, რისთვისაც დაიგეგმა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო ბიბლიოთეკარების, სტუდენტების, მეცნიერების, დიზაინერებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა გაერთიანება სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი კონცეფციის გარშემო იდეების გენერირების მიზნით.

სამუშაო სემინარის ჩატარებამდე, საორგანიზაციო ჯგუფმა კონსულტაცია გაიარა ინგლისში მოქმედ Common Libraries-ს წარმომადგენელთან, ანმარი ნეილორთან, ვიდეო ზარის მეშვეობით. მან ჯგუფს ბიბლიოთეკების განვითარების საერთაშორისო ტენდენციები და ინოვაციები გაუზიარა. ასევე, საორგანიზაციო ჯგუფს მისცა რჩევები საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და აღნიშნა რომ უკანასკნელ ხანებში ბიბლიოთეკა უფრო ხშირად ასრულებს არა მხოლოდ ცოდნის-მიღების ადგილის, არამედ ასევე ცოდნის-შექმნის, შემდგომი განვითარებისა და ადამიანების ურთიერთობის სივრცედ.

ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითად დაასახელა არამატერიალური მემკვიდრეობის ერთმანეთისათვის გადაცემის საშუალება, რომელიც ერთ-ერთმა ბიბლიოთეკამ დანერგა. პროექტი გულისხმობს ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცის მოწყობას, სადაც ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება შექმნას მისთვის სასურველი ნივთი და ამისთვის გამოიყენოს ბიბლიოთეკის რესურსები, მხოლოდ იმ პირობით, რომ

ის თავის ცოდნას გაუზიარებს სხვებს, ამისათვის კი შექმნის ყუთს, რომელშიც მოათავსებს ინსტრუქციებს და ხელსაწყოებს, კონკრეტული ნივთის/პროდუქტის დასამზადებლად, აღნიშნული ყუთით სარგებლობა ან ყუთის შესყიდვა შეუძლია ბიბლიოთეკის სტუმრებს.



მეთოდი

სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი კონცეფციისა და დიზაინის დაგეგმვის სამუშაო შეხვედარ ჩატარდა საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდის, Design Thinking-ის გამოყენებით, რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განავითარეს და ბოლო 40 წელია კრეატიული აზროვნების კატალიზაციისა და ინოვაციური პროტოტიპების შექმნის მეთოდს წარმოადგენს. Design Thinking-ის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მომსახურების მიმწოდებელმა ითანამშრომლოს მომხმარებელთან ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნის მიზნით, რომელიც უშუალოდ პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის შესაძლებლობების გათვალისწინებით ყალიბდება.

ამ მეთოდის მთავარ ღირებულებას ორივე მხარის მდგომარეობის გათავისება წარმოადგენს; ერთობლივი მუშაობის შედეგად, მიმწოდებელი უკეთ ეცნობა პოტენციური მომხმარებლის სურვილებსა და საჭიროებებს და მომხმარებელი უკეთ ეცნობა მიმწოდებლის შესაძლებლობებს, რის შედეგადაც უყალიბდებათ რეალისტური მოლოდინები. ერთმანეთის პოზიციის გაცნობის შედეგად, მომხმარებელი და მიმწოდებელი ერთად ამუშავებენ იდეებს, ქმნიან საწყის მოდელებს (პროტოტიპებს) და ხვეწენ შედეგებს ტესტირების მეშვეობით.



მონაწილეები

Design Thinking-ის წარმატების მთავარი კომპონენტი მონაწილეების სწორად შერჩევაა. გაეროს განვითარების პროგრამის, ინოვაციების ლაბორატორიისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის მოწვევით, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით, საორგანიზაციო ჯგუფმა შეკრიბა 30-ზე მეტი მონაწილე, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სექტორს და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა. მონაწილეთა რიცხვში იყვნენ:

→ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებიც კარგად იცნობენ ბიბლიოთეკის მუშაობის არსებულ პრაქტიკას

→ დიზაინერები და არქიტექტორები, რომლებიც სემინარის განმავლობაში მოანწილეობდნენ შენობის სასურველი დიზაინის შექმნაში

→ სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სამეცნიერო ბიბლითეკის პოტენციური მომხმარებლების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად მოიაზრებიან

→ მეცნიერები, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოთეკის მთავარ მომხმარებლებს და კარგად იცნობენ ბიბლიოთეკის მუშაობის როგორც ტრადიციულ მოდელს, ასევე მომხმარებლის თანამედროვე მოთხოვნებს;

→ სხვა პროფესიონალები, რომლებიც წარმოადგენენ იმ სექტორს, რომელიც ყველაზე ნაკლებად იცნობს სამეცნიერო ბიბლიოთეკას და ჯეროვნად არ იყენებს მის რესურსებს.

პროცესის დეტალური აღწერა

მოკლე ექსკურსია ბიბლიოთეკაში და შთაბეჭდილებების გაზიარება

სემინარის პირველ დღეს, ერთმანეთის გაცნობის შემდგომ, მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ ბიბლიოთეკის შენობა და უკეთ გაცნობოდნენ არსებულ პრობლემებს, რომ უკეთ გაეანალიზებინათ ის პოტენციალი, რომელიც ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას გააჩნია.

მოკლე ექსკურსიის შემდეგ მონაწილეებმა ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს და ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორები ჩამოწერეს. პოზიტიური შეფასებების უმეტესი ნაწილი ეხებოდა ბიბლიოთეკის პოტენციალსა და შესაძლებლობებს, ხოლო ნეგატიური შეფასებები ძირითადად შენობის კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობამ დაიმსახურა.

მონაწილეებმა აღნიშნეს ბიბლითეკის ისტორიული მნიშვნელობა და მასში მდებარე უნიკალური მასალები. ასევე, შეაქეს ელექტრონული რესურსების დიდი რაოდენობა და ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კეთილგანწყობა ცვლილებებისა და ინოვაციების მიმართ.

გათბობისა და კონდიცირების პრობლემები, მოძველებული და მუქი ინტერიერი, მოუხერხებელი სკამები და სამუშაო სივრცეები იყო ნეგატიური შეფასებების მთავარი კომპონენტი. შენობის კუთხით, ასევე გამოიკვეთა რამოდენიმე დამატებითი შენიშვნა - პანდუსების ნაკლებობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობი მქონე პირების გადაადგილებისათვის. რამდენიმე მონაწილემ სურვილი გამოთქვა, რომ ბიბლიოთეკაში იყოს კაფე და ყავის აპარატები. მონაწილეების უმეტესობამ ისურვა, რომ ბიბლიოთეკაში ღია თაროები არსებობდეს და მომხმარებელს პირდაპირი წვდომა ჰქონდეს როგორც ჩვეულებრივ, ასევე აუდიო წიგნებთან. ღონისძიებებისა და ინტერაქტიული აქტივობების ნაკლებობა ნეგატიურად შეფასდა და ამის ერთ-ერთ მიზეზად საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობა დასახელდა.

სესია - რა არის ბიბლიოთეკა?

სამუშაო შეხვედრის მონაწილეების სურვილით, ჩატარდა დამატებითი სესია, სადაც განხილული იყო თუ რა არის თანამედროვე ბიბლიოთეკა - რა ფუნქციები აქვს, რა მოვალეობები და რამ შეიძლება მიიზიდოს ახალი მომხმარებელი. Design Thinking-ის პროცესში, ეს ნაწილი ჩაითვლება "define" კომპონენტში, სადაც მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ თუ როგორ აღიქვამენ და განმარტავენ ტერმინებსა და კონცეფციებს იმისათვის, რომ შეიქმნას განმარტებების კონსოლიდაცია და ყველამ „ერთ ენაზე" ისაუბროს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის დანიშნულებისა და განმარტების შესახებ, მონაწილეებს განსხვავებული აზრები ჰქონდათ, თუმცა უმეტესობა შეთანხმდა, რომ ბიბლიოთეკა არა მხოლოს ცოდნის საცავი, არამედ მისი შემქმნელი და გაზიარების წყაროც არის. ასევე, ჯგუფი ცალსახად შეთანხმდა იმაზე, რომ შენობის ინფრასტრუქტურა და სამუშაო გარემო საგრძნობლად შესაცვლელია - საჭიროა არსებობდეს მყუდრო და მოსახერხებელი სამუშაო ადგილები.

ბიბლიოთეკის ტრადიციულ განმარტებებთან ერთად, როგორიც არის „ცოდნის მიღების ადგილი" და „ინფორმაციის წყარო", მონაწილეებმა ინოვაციური განმარტებებიც გამოიყენეს მაგალითად,

„ინტელექტუალური პროდუქციის თანამედროვე პორტალი“ და „ალტერნატიული საგანმანათლებლო სივრცე,“ რომელიც თავისთავად ხაზს უსვამს ბიბლიოთეკის არა მხოლოდ ფიზიკურ წიგნებს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, როგორც ერთერთ მთავარ მიმზიდველ ფაქტორს მომხმარებლებისთვის.

ასევე, უმეტესობამ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა არა მხოლოდ განმარტოებული მუშაობის ადგილი უნდა იყოს, არამედ ჯგუფური შეხვედრებისა და დისკუსიების გამართვის სივრცეც. განხილულ იქნა სისტემა, რის მიხედვითაც ბიბლიოთეკა დაიყოფა ზონებად ხმაურის დონის მიხედვით:- ინდივიდუალური სამუშაოსთვის გამოყოფილი ზონში უფრო წყნარი და მშვიდი გარემოს არსებობა იგულისხმება, ხოლოშედარებით მეტი აქტივობითიქნება დატვირთული ჯგუფური შეხვედრებისა და სამუშაოების ზონა.

ჯგუფების შექმნილი პერსონაჟები

მონაწილეები დაიყო ჯგუფებად, რომელშიც მონაწილეთა ყველა კატეგორია თანაბრად იყო წარმოდგენილი (მაგ. ბიბლიოთეკის თანამშრომელი, სტუდენტი, დიზანიერ/არქიტექტორი , სხვა პროფესიის წარმომადგენელი) და თითოეულმა ჯგუფმა შექმნა წარმოსახვითი მომხმარებლის პერსონაჟი, რომელსაც მიენიჭა სახელი, გვარი, ასაკი და პროფესია. ამ მახასიათებლების მიხედვით, ჯგუფები შეეცადნენ წარმოედგინათ, თუ რა სერვისების გამოსაყენებლად მოვიდოდა აღნიშნული ადამიანი სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.



ჯგუფების მიხედვით წარმოსახვითი მომხმარებლის ისტორიები:

1. ნინო ბურდული ცხოვრობს გორში. ერთ დილით როდესაც მან გაიღვიძა, ჩართო კომპიუტერი და აღმოაჩინა მის იმეილზე მისული მოწვევა კონფერენციაზე. ნახა რომ საჭირო ინფორმაცია არ ჰქონდა და წავიდა გორის ბიბლიოთეკაში. გორის ბიბლიოთეკაში შესაბამისი წიგნი ვერ მოიძია და დაბრუნდა სახლში. მიუჯდა კომპიუტერს და შევიდა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საიტზე. სკაიპით გაესაუბრა ბიბლიოთეკარს და მოითხოვა წიგნის დიგიტიზაცია. რამდენიმე საათში ბიბლიოთეკარმა ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნა მოთხოვნილი წიგნი.

2. საჯარო მოხელეს აინტერესებს ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ ორგანიზაციას. მას აქვს ცოტა დრო ამის მოსაძიებლად. მას ამავე დროს არ აქვს შესაბამისი კომპიუტერული უნარ-ჩვევები; მან დაურეკა მძღოლს და დაავალა სასურველი ინფორმაციის მოძიება ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. ამ უკანასკნელმა ვერ მოიპოვა ინფორმაცია, რის გამოც თანანმდებობის პირს თავად მოუწია წასვლა ბიბლიოთეკაში. იქ დახვდა თანამშრომელი, რომელმაც დაიწყო ძიება და საბოლოოდ მოიძია მისთვის საჭირო ინფორმაცია. საჯარო მოხელემ მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკას და წამოვიდა სამსახურში.

3. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს ცხელი ხაზი, რომელზეც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება არსებულ სერვისებზე. ხანდაზმული პირისთვის უნდა იყოს ტრანსპორტი ან სპეციალურად გამოყოფილ დღეებში ან დაჯავშნის მექანიზმით. ბიბლიოთეკასთან მისასვლელ მთელ ტერიტორიაზე უნდა იყოს სპეციალური ნიშნები, რომ პირმა ადვილად მიაგნოს შენობას. ბიბლიოთეკაში შემოსვლისას აუცილებელია იყოს საინფორმაციო მაგიდა (შესაბამისი თანამშრომლით) სადაც პირი მიიღებს დეტალურ ინფორმაციას სერვისებზე. მაგიდაზე ასევე იქნება განთავსებული სამეცნიერო შემეცნებით ხასიათის ლიტერატურა და მასალა (მუდმივად განახლებადი). დაკვალიანების შემდეგ პირი მიემართება შესაბამისი სივრცისკენ, სადაც მას ხვდება მეგობრულად განწყობილი თანამშრომელი, რომელიც დაეხმარება სტუმარს, შესაბამისი მასალის მოძიებაში. სასურველი წიგნის მიღების შემდეგ, იგი მიემართება სამკითხველო ღია ბაღისკენ, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის ბაღში. მსგავსი ტიპის ღია სივრცე, სასარგებლოა რამოდენიმე მიზნისთვის: ხელი შეუწყოს სადისკუსიო პლატფორმის შექმნას შენობის გარეთ, ხანდაზმულ და მარტოხელა ადამიანებს დაეხმაროს სოციალიზაციასა და ადამიანებთან ურთიერთობაში.

4. ახალგაზრდა მეცნიერი გიორგი ჩამოდის საქართველოში; უცხოეთში ყოფნის დროს, მან გაიცნო ახალგაზრდა მეცნიერი ქალბატონი და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ცდილობს დაეკონტაქტოს ინტერნეტის მეშცვეობით სამეცნიერო პროექტის განხორციელების მიზნით. გიორგი სტუმრობს ბიბლიოთეკას, სადაც თანამშრომლები ეხმარებიან კოლეგასთან კონტაქტში, სთავაზობენ სხვადასხვა სახის სერვისებს, რომლის მეშვეობითაც განხორციელებული იქნება სამეცნიერო პროექტი. ბიბლიოთეკის გამართული სერვისები, უზრუნველყოფს თანამშრომლობის წარმატებით განხორციელებას მიუხედავად მანძილისა. ბიბლიოთეკის სერვისებია: მყუდრო და კომფორტული სამუშაო გარემო, ინტერნეტი, კაფე დასასვენებლად და საკვების მისაღებად, გამწვანებული ზონა, გათბობა-კონდიცირება, მაქსიმალურად თავისუფალი წვდომა

მასალებთან. ახალგაზრდა მეცნიერმა გამართული სერვისებით მოახერხა პროექტის დასრულება წარმატებით და მოახდინა შედეგების გასაჯაროება.

5. გიორგი ჭაღირაშვილი სკოლის მოსწავლეა, რომელსაც სკოლაში დაავალეს პროექტის მომზადება ფოტოსინთეზის შესახებ. სახლში კომპიუტერი არ აქვს და შედარებით შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები აქვს. რესურსების ნაკლებობის გამო, გადაწყვიტა, რომ კვლევა ბიბლიოთეკაში ჩაეტარებინა. სპეციალური ტრანსპორტის მეშვეობით, რომელიც ბიბლიოთეკამ თავისი მომხმარებლებისთვის დანიშნა, გიორგიმ ადვილად მიაგნო სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობას. შემდეგ, მან მიიღო ბიბლიოთეკარისგან რჩევები და ესტუმრა ზამთრის ბაღს. დააკვირდა ფოტოსინთეზის პროცესს და მიიღო ბევრი სასარგებლო ინფორმაცია. ამ ცოდნით მან დაწერა ნაშრომი და გაიმარჯვა სასკოლო პროექტში.

ამ ისტორიების დაწერის შედეგად, მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა მაქსიმალურად გაეთავისებინათ ბიბლიოთეკის პოტენციური მომხმარებლების მდგომარეობა, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სექტორებსა და ასაკობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია.

- ბიბლიოთეკაში ადვილად მოსასვლელად (მაგ. ხანდაზმულის და სკოლის მოსწავლის შემთხვევებში), საჭირო იქნება ბიბლიოთეკის მხრიდან სპეციალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა.
- ასევე, გამოიკვეთა ბიბლიოთეკარების როლის მნიშვნელობა - თითქმის ყველა პერსონაჟს დასჭირდა მათი კომპეტენტური და კეთილგანწყობილი დახმარება.
- ბიბლიოთეკის სივრცის გამოყენება სხვადასხვა ზონების მიხედვით მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად

მეორე დღე - სერვისები პერსონაჟებისათვის და ბიბლიოთეკის ვიზუალური მხარე

Design Thinking-ის პრინციპის ნაწილი, ისტორიების ვიზუალურ წარმოსახვასა და სიტყვების ნაკლებ გამოყენებას უკავშირდება. ვიზუალური გათვლით, უფრო დეტალური წარმოსახვა არის შესაძლებელი და შესაბამისად, საბოლოო პროდუქტი უფრო კარგად არის მორგებული მომხმარებელზე.

მეორე დღის პირველი სავარჯიშო, სწორედ პროცესის ვიზუალიზაციას უკავშირდებოდა და მონაწილეებმა „ფაზლების“ მეშვეობით, ნაბიჯ-ნაბიჯ განსაზღვრეს ყოველი პერსონაჟის გზა, რომელიც მათ უნდა გაეარათ სერვისის მისაღებად

.

პროცესის თანმიმდევრულად აწყობის შემდეგ, ჯგუფებმა ჩაატარეს პრეზენტაციები რის შედეგადაც გამოიკვეთა შენიშვნები და შეკითხვები.

შემდეგ, ჯგუფებმა დეტალურად გაწერეს თავიანთი პრეზენტაციები და გაითვალისწინეს მათი თანამონაწილეების კომენტარები. მაგალითად, ჯგუფს, რომელსაც ხანდაზმული პერსონაჟი ჰყავდა, სხვა თანამონაწილეებმა ურჩიეს, რომ სპეციალური ტრანსპორტი გაეთვალისწინებინათ და/ან პანდუსებზეც ეფიქრათ, რადგან არსებობენ ეტლში მჯდარი ხანდაზმული პირები.

შენობის დიზაინი და ვიზუალური მხარე

შემდეგი ეტაპი, წარმოსახვითი პერსონაჟების და მათი წარმოსახვითი ისტორიების კონკრეტულ, ფიზიკურ სივრცეზე მიბმა იყო ბიბლიოთეკის შენობის ფარგლებში. საორგანიზაციო ჯგუფმა გაანაწილა ოთახები - ზამთრის ბაღი, სამუშაო ოთახები და ბიბლიოთეკის მისაღები სივრცეები „ჰოლები“. ჯგუფებმა დიდ თაბახის ფურცლებზე დახატეს თავიანთი კონცეფცია და შემდეგ ერთმანეთის ნამუშევრები შეაფასეს.



შენობის შიდა ნაწილზე, აქცენტი ძირითადად სიმყუდროვეზე და სივრცის გამოყენების პირობითობაზე გაკეთდა. მესამე სართულის ფოიეში კიბის მარცხნივ შენარჩუნდა თავისუფალი სივრცე ფანჯრების სიახლოვეს, საიდანაც ქალაქის სასიამოვნო ხედი ჩანს, შიდა ნაწილი სოციაზაციის სივრცეს დაეთმო სავარძლებით და დაბალი ავეჯით, კიბის მარცხნივ, ელექტრონული საინფორმაციო სივრცე განთავსდა ინდივიდუალური სამუშაოებისთვის, კიბის პირდაპირ ცენტრში გამჭვირვალე და მოძრავი თაროების სისტემა იყო შემოთავაზებული, ხოლო მარჯვენა მხარე მედიათეკას და მრავალფუნქციურ სივრცეს დაეთმო.

ზამთრის ბაღის გასწვრივ შიდა ოთახების დიზაინზე მომუშავე ჯგუფებმა აღნიშნეს, ეს ოთახები სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობის სივრცედ შეიძლება იყოს გამოყენებული. გარდა სათანადო აღჭურვილობისა, ამისთვის ავეჯის ნაწილი დაფიქსირებული უნდა იყოს, ხოლო ნაწილი მობილური, რომ საჭიროების მიხედვით სამუშაო ოთახი ადვილად გადაიქცეს საკონფერენციო დარბაზად ან ფილმის საჩვენებელ ოთახად. მსგავსი ინტერიერი ბიბლიოთეკას მეტ დინამიურობას შესძენს. კიდევ ერთხელ გაკეთდა აქცენტი იმაზე, რომ ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს **ღია თაროების სისტემა.**

შენობის გარეთ, მონაწილეებმა დიდი შესაძლებლობა დაინახეს ბიბლიოთეკის მწვანე სივრცის გამოყენებაში და ხელმძღვანელობას ურჩიეს, რომ ბიბლიოთეკის კაფე პირდაპირ მწვანე სივრცეში გადაიზარდოს და ტერასა გაკეთდეს. ასევე, სასურველი იქნებოდა სასეირნო ბილიკების და სკამების გაკეთება. დამატებით, მონაწილეებმა შესთავაზეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, რომ არსებული აუზის ტერიტორია გადააქციონ პატარა ამფითეატრად, სადაც კარგ ამინდში წიგნის განხილვები, პოეზიის საღამოები და მსგავსი ღონისძიებები მოეწყობა.

გუმბათიან ოთახზე ყველაზე ცოცხალი და ცხარე დისკუსია შედგა - ძირითადად, მეცნიერები და/ან პროფესიული სფეროების წარმომადგენლები ემხრობოდნენ გუმბათიანი ოთახის აკუსტიკის შეცვლას და ამ ოთახის საკონფერენციო დარბაზად გამოყენებას, ხოლო ხელოვნების დარგის წარმომადგენლები ემხრობოდნენ ოთახის უნიკალური თვისებების შენარჩუნებას და მათ გამოყენებას (მაგალითად, სპირალური კიბის დამონტაჟებას, რომელიც გამოფენების სივრცედ შეიძლება იყოს გამოყენებული. იყო შემოთავაზებები, რომ ამ ოთახის უნიკალური აკუსტიკა მუსიკოსებმა და მოცეკვავეებმა გამოიყენონ საინტერესო ღონისძიებებისა და კვლევების ჩასატარებლად.



სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ჩატარდა კვლევა, რომელშიც ჯამში 40-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის განზოგადება ფართო საზოგადოებაზე არ შეიძლება, შედეგები ასახავს ბიბლიოთეკის პოტენციური მომხმარებლების დამოკიდებულებას და შესაბამისად მათი ანალიზი მნიშვნელოვანია. უმეტესობამ დააფიქსირა, რომ იშვიათად დადის სამეცნიერო ბიბლითეკაში (37.93% წელიწადში ერთხელ დადის ხოლო 34.48% საერთოდ არ არის ნამყოფი), თუმცა ამავდროულად აცხადებენ მზაობას, რომ სხვადასხვა ღონისძიებებზე მოვიდნენ. რესპოდენტების 93.10%-მა დააფიქსირა, რომ პრეზენტაციაზე მოვიდოდა; ასევე, მნიშვნელოვანმა ნაწილმა დააფიქსირა მზაობა იმონაწილეოს დისკუსიებზე (86.21%) და ტრეინინგზე (72.41%). თემატიკის მხრივ, პირველ სამ კატეგორიად დაფიქსირდა: სიახლეები მეცნიერების დარგში (54.29), ინოვაციები (71.43%) და ხელოვნების სფერო (65.71%). ასევე, მნიშვნელოვანი ინტერესი დაფიქსირდა ფსიქოლოგიის-სოციოლოგიისა და ისტორიის განხრით.

კითხვაზე, თუ სად იკრიბებიან ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად, რესპოდენტების 76.47%-მა

დააფიქსირა, რომ ჯგუფის წევრის სახლში იკრიბებიან, 73.53%-მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ან ოფისში იკრიბებიან, ხოლო 52.94%-მა დააფიქსირა, რომ კაფეში მუშაობენ.

ამ მხრივ ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასურველ ალტერნატნატივას, როგორც „სივრცე სახლსა და ოფისს შორის“ და შესაბამისად, ჯგუფური სამუშაოებისთვის სივრცის გამოყოფა ერთერთი მთავარი პრიოტიტეტია ბიბლიოთეკისთვის.

იდეალური ბიბლიოთეკის აღწერისას, უმრავლესობამ ახსენა სასურველ წიგნებზე ხელმისაწვდომობა და მყუდრო გარემო. სადაც ინფორმაციის მიღება და განხილვა შესაძლებელი იქნება.

საბოლოო რეკომენდაციები

ღონისძიებები

1. გამოიკვეთა დამატებითი ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზების საჭიროება იმისათვის, რომ მეტმა ადამიანმა გაიცნოს ბიბლიოთეკა და შეძლებისდაგვარად მიიღოს მონაწილეობა მის ტრანსფორმაციაში. ღონისძიებების სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის შემდეგ (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მცირე ბიზნესის მფლობელები, სამსახურის მაძიებლები და ა.შ.,) შესაძლებელია შესაბამისი პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვა. სასურველია **სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები** სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის. მაგალითისთვის, შესაძლებელია სერვისების შემუშავება:
   - **სკოლის მოსწავლეებისთვის,** რომლებიც შეძლებენ გაესაუბრონ მეცნიერებს; უფრო კონკრეტულად, სასურველია გოგოების ჩართულობის გაზრდისთვის, შეიქმნას პროგრამა, რისი დახმარებითაც გოგოები შეძლებენ გაესაუბრონ ქალ მეცნიერებს.
   - ასევე, **უსინათლო მოსწავლეებისთვის ან ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის** საინტერესო იქნება გაესაუბრონ წარმატებულ ადამიანებს, რომლებიც მათი თემის წარმომადგენლები არიან და დაინახონ, რომ მათი მომავალი შესაძლებელია იგივენაირად წარმატებული იყოს.
   - სასურველია მოეწყოს **შეხვედრები ბანკების წარმომადგენლებთან,** რათა მიიღონ ფინანსური რჩევები. მსგავს კამპანიას უკვე აწარმოებს თიბისი ბანკი და შესაძლებელია დაინტერესდნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით.
   - ასაკების მიხედვით სასურველი იქნება **სამკითხველო ჯგუფების შექმნა ბავშვებისთვის,** სადაც შემდეგ წაკითხულ ნაწყვეტს ან მოთხრობას განიხილავენ. მსგავსი პროგრამა უსინათლო ან ყრუ პირებისთვისაც სასარგებლო იქნება.
   - მსგავსი პროგრამების ორგანიზებისთვის და ფასილიტაციისთვის ბიბლიოთეკას დასჭირდება **მოხალისეობის სქემა**, რომელსაც გამოიყენებს საჭიროების მიხედვით. მოხალისეები შესაძლებელია იყვნენ სტუდენტები, მშობლები, მეცნიერები და ა.შ.

- სასურველია ხშირი **ექსკურსიები** სკოლის მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.
- იმისათვის, რომ ახალი სერვისების იმპლემენტაციამ უხარვეზოდ ჩაიაროს, სასურველი იქნება **სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან მოხალისეების დახმარებით, სერვისების ტესტირება.**
- არსებული სერვისების დახვეწის მიზნით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას **სერვისის გაწევა/მიღების პროცესზე დაკვირვების მეთოდი,** სადაც მომხმარებელს პროცესის დასაწყისიდან დასრულებამდე თან ახლავს დამკვირვებელი და ინიშნავს სერვისის გაცემის ხარვეზებს.

2. სავარაუდოდ, საჭირო იქნება **ბიბლიოთეკარების გადამზადება** და მათი კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ბიბლიოთეკის სერვისების გაცემაში, ასევე მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხის ამაღლების განხრით. მნიშვნელოვანია, რომ ისინი კარგად ფლობდნენ ელექტრონული რესურსების მოძიებისა და გაცემის უნარებს.

ღონისძიებები

1. **მყუდრო და კომფორტული** გარემო, სადაც პირველ რიგში ფიზიკური ნაწილი ანუ, გათბობა/ვენტილაცია და მოსახერხებელი ავეჯი იქნება გათვალისწინებული.
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჭიროა მოეწყოს პანდუსები და **ადაპტირებული გარემო**.
3. სასურველია ბიბლიოთეკაში განთავსდეს მობილური ავეჯი, რაც უზრუნველყოფს სივრცეების დინამიურობას.
4. სივრცეები დაიყოს **ზონებად სხვადასხვა** საქმიანობის მიხედვით (მაგ, ჯგუფური ან ინდივიდუალური).
5. სასურველია გაკეთდეს სივრცე, რომელიც საკონფერენციო დარბაზად გამოიყენება.
6. შენობის კეთილმოწყობის პერიოდში, სასურველი იქნება ბიბლიოთეკა დაუკავშირდეს მოხალისეებს და/ან დაინტერესებულ დიზაინერებსა და არქიტექტორებს, რომ უშუალოდ მათგან მიიღოს რჩევები შიდა ინტერიერის სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით.
7. ტენდერის გამოცხადებამდე სასურველი იქნება ბიბლიოთეკამ, არქიტექტორთა კავშირთან

თანამშრომლობით, გამოაცხადოს კონკურსი **ახალი ბიბლიოთეკის არქიტექტურულ ნახაზზე.** აღნიშნული მისცემს ბიბლიოთეკას შესაძლებლობას, რომ რამოდენიმე ვერსიიდან საუკეთესო დიზაინი ამოარჩიოს და ფართო საზოგადოება ჩართოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ შენობის გარე ფასადი რესტავრაციის შედეგად არ იცვლება, მნიშვნელოვანია სამშენებლო სფეროში პროფესიონალებისგან რჩევების მიღება ტენდერში ასახული სამშენებლო მასალების მოთხოვნის კუთხით, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ მოლოდინსა და საჭიროებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შედეგი აჩვენოს.